სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №139

(cpv 79820000)

ქ. მცხეთა „17" სექტემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ არასამეწარმეო(არაკომერციული)იურიდიული პირი თვითმმართველ თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება (შემდგომში „შემსყიდველი), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის გაერთიანების დირექტორის მოადგილე ირინე მამიაურის სახით და მეორეს მხრივ შპს „ოლპრინტჯი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), დირექტორის დავით სამუშიას სახით (მის: ქ. თბილისი ვ. ბაგრატიონის 5 ბლოკი 2) საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, მაგარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით არასამეწარმეო(არაკომერციული)იურიდიული პირი თვითმმართველი თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების საბავშვო ბაგა-ბაღებისათვის კარტოთეკების ფერადი ბეჭდვის და აკინძვის მიწოდება:

#	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	ფერადი ბეჭდვა ა4	ფურცელი	3104	0.20	620.00
2	აკინძვა	ცალი	23	1.00	23.00
	სულ				643.00

1.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 643(ექვსასორმოცდასამი) ლარი და 00 თეთრი

2. ხელშეკრულების ვადა

2.1. ხელშეკრულების ვადაა ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 2015 წლის 15 ნოემბრამდე.

3. ანგარიშსწორება

3.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით 15 სამუშაო დღეში მომსახურების მიღებიდან.

4 მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია, მიაწოდოს მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

4.2. „შემსყიდველი" ვალდებულია, უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1. თუ „მიმწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს, დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2. „მიმწოდებლის" მხრიდან ვალდებულებების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს, განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისთვის".

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები არ არიან პასუხიმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. წამოჭრილი დავები ან აზრტა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2. თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს მოქმეიდ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

103. ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"
ა(ა)იპ თვითმმართველ თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება
ა/ა GE69LB0115130765494000
ბ/კ LBRTGE22
ს/კ 436036273
ლიბერთი ბანკის მცხეთის ფილიალი
დირექტორის მოადგილე ---------- ი.მამიაური

„მიმწოდებელი"
შპს „ოლპრინტერი"
ა/ა GE54PC0043600100029559
ბანკის კოდი MIBGGE22
პროკრედიტ ბანკი
ს/კ 400044518
ტ#2141406
მობილური 593121411; 577651160
---------- დ. სამუშია